



KARR0171455230622



სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება

№ 1-1/36

02 / დეკემბერი / 2022 წ.

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: № 71.62.58.824, № 71.62.58.848, № 71.62.58.845) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2022 წლის 9 ნოემბრის № 697/09 განცხადებით მომართა კობა ბადაგაძემ (პ/ნ: 01010014718) შემდგომში: დაინტერესებული პირი)) წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: № 71.62.58.824, № 71.62.58.848, № 71.62.58.845) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების შესაძლებლობის განხილვა და შესაბამისი დავალების გაცემა.

„გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 587 დადგენილებით დამტკიცებული დანართების შესაბამისად, მიწის ნაკვეთები (ს.კ. № 71.62.58.824, № 71.62.58.848, № 71.62.58.845) ხვდება ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე (ლტ). განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და მის საფუძველზე, გენგეგმით დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილება, მიწის ნაკვეთების საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლოდ განვითარების მიზნით. მოთხოვნილი ფუნქციური ქვეზონაა - საკურორტო ზონა 1 (შზ-6), შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებით: კ1-0.4-მდე, კ3-0.3-დან, მაქსიმალური სიმაღლე კედლის ბოლომდე 8 მეტრი, კეხამდე 10 მეტრი; მაქსიმალური სართულიანობა: 3 სართული ან 2 მანსარდის სართული.

ამოცანას წარმოადგენს განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, ზონის ცვლილების დაშვებით და იერარქიულად ზედა დოკუმენტში კორექტირების შეტანა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განხორციელების დაშვება შესაძლებელი იქნება ამ ბრძანების დანართები N1 და N2-ით გათვალისწინებული მოთხოვნებით დამუშავებული დოკუმენტის შემთხვევაში.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 36-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს დადებითი გადაწყვეტილება კერძო ინიციატივის საფუძველზე, ამ ბრძანების დანართი N1-ით განსაზღვრული გეგმარებითი ერთეულისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავების თაობაზე, ამავე ბრძანების დანართი N2-ით გათვალისწინებული განაშენიანების დეტალური გეგმის დავალების შესაბამისად;
2. გაფორმებულ იქნეს შესაბამისი ადმინისტრაციული ხელშეკრულება დაინტერესებულ პირთან, ამ ბრძანებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;
3. განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულ უნდა იქნას ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში;
4. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განაშენიანების დეტალური გეგმის წარმოდგენლობის შემთხვევაში, ბრძანება და ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალადაკარგულად;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, № 6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე